საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეჟათუბნის განძი

ბეჟათუბნის განძი, ძვ. წ. XI–X სს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩენილია 1928 სოფ. ბეჟათუბანში (ხარაგაულის მუნიციპ.) ფილებისაგან შეკრულ პატარა ქვის ყუთში (0,35 მ X 0,40 მ) აღმოჩნდა აღმ. ამიერკავკ. ტიპის 5 ცული და სპილენძის ზოდის სამი ნატეხი. ამ ნივთებიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას საქართვ. მუზეუმში ინახება 3 ცული და ზოდის სამივე ნატეხი.

ლიტ.: ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., ბეჟათუბნის განძი, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16 B.

გ. ავალიშვილი